

მაკროპრუდენციული პოლიტიკის მნიშვნელობა და ფინანსური სტაბილურობა საქართველოს მაგალითზე

ირინე მამალაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ფინანსური სტაბილურობა ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარი ქვაკუთხედი. ისტორიულად, ფინანსური კრიზისით გამოწვეული მაღალი ეკონომიკური დანაკარგები მსოფლიოსა და საქართველოში ხაზს უსვამს ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობას ეკონომიკური მდგრადობისთვის. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მხოლოდ მიკროპრუდენციული პოლიტიკა არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალის გამომწვევი ფინანსური რყევების თავიდან ასაცილებლად და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მაკროპრუდენციული ხედვაა საჭირო. შესაბამისად, მიკროპრუდენციულ ზედამხედველობასთან ერთად აუცილებელია ისეთი მაკროპრუდენციული ზედამხედველობის ჩარჩოს არსებობა, რომელიც სისტემური რისკების შემცირებას და ამ რისკების მიმართ ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უზრუნველყოფს. მაკროპრუდენციული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ფინანსური სისტემის, როგორც ერთი მთლიანობის, სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს მიიღწევა ფინანსური სისტემის მდგრადობის გაძლიერებითა და სისტემური რისკების დაგროვების შემცირებით, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს.

შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიზანია უზრუნველყოს ფინანსური სისტემის უსაფრთხო და ჯანსაღი ფუნქციონირება. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკას ახორციელებს. ცვალებადი გლობალური ფინანსური გარემოს მიმართ ყველაზე შესაფერის პასუხად მაკროპრუდენციული პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერება და სრულყოფა ითვლება და მიიჩნევა, რომ იგი აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაკროპრუდენციული პოლიტიკა მიკროპრუდენციულ, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკებთან იყოს თავსებადი.

საკვანძო სიტყვები: მაკროპრუდენციული პოლიტიკა, მაკროპრუდენციული ზედამხედველობის ჩარჩო, მიკროპრუდენციულ, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკებთან თავსებადობა. ფინან-

სური რყევები, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდა, სისტემური რისკები.

THE IMPORTANCE OF MACROPRUDENTIAL POLICY AND FINANCIAL STABILITY BASED ON THE EXAMPLE OF GEORGIA

Irine Mamaladze
Professor of GTU

RESUME

Financial stability is the main cornerstone of sustainable development of the economy. Historically, the high economic losses caused by the financial crisis in the world and in Georgia emphasize the importance of financial stability for economic sustainability. The global financial crisis has shown us once again that only microprudential policies are not enough to prevent financial fluctuations causing significant economic losses, and a macroprudential approach is needed to regulate the financial system. Accordingly, along with microprudential supervision, it is necessary to have such a macroprudential supervision framework, which ensures the reduction of systemic risks and the increase of the financial system's resilience to these risks. The main goal of macroprudential policy is to ensure the stability of the financial system as a whole. This is achieved by strengthening the stability of the financial system and reducing the accumulation of systemic risks, which, in turn, contributes to long-term economic growth.

Accordingly, the goal of the National Bank of Georgia (NBG) is to ensure the safe and healthy functioning of the financial system. According to the organic law "About the National Bank of Georgia", promotion of financial stability in the country is the mandate of the National Bank. To ensure financial stability, the National Bank implements macroprudential policy. Strengthening and perfecting the macroprudential policy framework is considered the most appropriate response to the changing global financial environment, and it is considered necessary to ensure the stability of the financial system. Also, it should be noted that for effectiveness, it is particularly important that macroprudential policies are compatible with microprudential, monetary and fiscal policies.

Keywords: macroprudential policy, macroprudential supervision framework, compatibility with microprudential, monetary and fiscal policies. Financial fluctuations, long-term economic growth, systemic risks.

ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიზანია უზრუნველყოს ფინანსური სისტემის უსაფრთხო და ჯანსაღი ფუნქციონირება. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი შეიმუშავებს საპასუხო პოლიტიკას ამ რისკების შემცირებისთვის, რითიც ხელს უწყობს ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას.

ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები არა მხოლოდ აფერხებენ ფინანსური სისტემის გამართულ მუშაობას, არამედ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის რეალურ სექტორისთვის და დასაქმებისთვის. მაგალითად, გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში გამოშვების მედიანურმა კუმულაციურმა ზარალმა კრიზისამდე არსებულ ტრენდთან მიმართებით მშპ-ს 33% შეადგინა¹.

ცვალებადი გლობალური ფინანსური გარემოს მიმართ ყველაზე შესაფერის პასუხად მაკროპრუდენციული პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერება და სრულყოფა ითვლება მიიჩნევა, რომ იგი აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაკროპრუდენციული პოლიტიკა მიკროპრუდენციულ, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკებთანაც იყოს თავსებადი.

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისთვის, ეროვნული ბანკი ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის, ESRB-ისა და CRR/CRD-ის რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, კოორდინაციას უწევს მაკროპრუდენციულ პოლიტიკას ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი აფასებს და აანალიზებს სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს, გაცემს

რეკომენდაციებს შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ და კოორდინაციას უწევს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებებს. ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია იზიარებს ESRB/2013/1³-ის რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და თავსებადია ევროკავშირის დირექტივებთან. სტრატეგია განსაზღვრავს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ჩარჩოს და შუალედურ მიზნებს შესაბამის ინდიკატორებსა და ინსტრუმენტებს უკავშირებს. აღნიშნული სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ევროპის სისტემური რისკის კომიტეტის რეკომენდაციის, ESRB/2013/1 შესაბამისად, ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ფინანსური სისტემის სტაბილურობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკი თავის სტრატეგიაში შუალედურ მიზნებს განსაზღვრავს. აღნიშნული შუალედური მიზნების მისაღწევად საჭიროა თითოეული მიზნისთვის ერთი ან მეტი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტის არსებობა. მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამკაცრებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები შესაძლოა ისევ შერბილდეს თუ ეს ფინანსური ციკლის სტაბილიზაციისთვის იქნება საჭირო. ამასთან, დროთა განმავლობაში მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ეფექტიანობის გამოვლენის კვალდაკვალ და ფინანსური სტაბილურობის ახალი პოტენციური რისკების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მაკროპრუდენციული პოლიტიკის შუალედური მიზნების ან/და ინსტრუმენტების გადახედვა. ეს ქმნის მაკროპრუდენციული პოლიტიკის შუალედური მიზნებისა და ინსტრუმენტების ადეკვატურობის პერიოდული შემოწმების საჭიროებას. ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის, ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია.

მიზნის მისაღწევად, ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ პოლიტიკას, რათა თავიდან აიცილოს სისტემური რისკების დაგროვება

1 Laeven, L and Valencia, (2013), "Systemic Banking Crises Database: An Update", IMF Economic Review

2 საქართველოში, მსგავსი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მშპ-ს ჯამური დანაკარგი 2009-2012 წლების განმავლობაში დაახლოებით მშპ-ს 25 %-ია. აღნიშნული მაჩვენებელი, არ ითვალისწინებს კრიზისის შედეგად პოტენციური მშპ ზრდის პერმანენტულ შემცირების ეფექტს, რაც დამატებით დანაკარგს ციკლური კრიზისის დასრულების შემდგომაც იწვევს. საქართველოს შემთხვევაში, კრიზისით გამოწვეული ტრენდის ზრდის შემცირება დაახლოებით 0.5-1.0 პპ იყო, რაც დისკონტირების გათვალისწინებით დამატებით მშპ-ის 13%-25%-ის დანაკარგს ნიშნავს.

3 https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/recommendations/2013/ESRB_2013_1.en.pdf

და, შესაბამისად, შეამციროს კრიზისის აღბათობა და გააუმჯობესოს ფინანსური სექტორის მდგრადობა. მაკროპრუდენციული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის მიერ ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ფინანსური შუამავლობისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის (საგადახდო სისტემები) ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური სისტემის მდგრადობა შოკების მიმართ და სისტემური რისკების შემცირება. ამასთან, სტაბილური ფინანსური სისტემა ასევე გულისხმობს ფინანსური ბაზრების განვითარებასა და გაღრმავებას.

ფინანსური რისკი განისაზღვრება როგორც სრულიად ფინანსური სისტემის მასშტაბით შექმნილი სირთულე, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია (ESRB 2014; IMF/BIS/FSP 2009). სისტემურ რისკს, როგორც წესი, აქვს ორი განზომილება: ციკლური და სტრუქტურული. ციკლური განზომილება წარმოიქმნება ბანკების და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიდრეკილებით გადაჭარბებით აიღონ რისკები ფინანსური ციკლის აღმავალი ფაზის დროს, ხოლო განსაკუთრებულად შეიკავონ თავი დაღმავალი ფაზის პერიოდში. შესაბამისად ციკლური მერყეობები დაკავშირებულია დროთა განმავლობაში რისკების დაგროვებასთან. მეორეს მხრივ, სისტემური რისკების სტრუქტურული განზომილება ეხება დროის კონკრეტულ მონაკვეთში რისკების განაწილებას მთლიანი ფინანსური სისტემის მასშტაბით, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთ დამოკიდებულებიდან. ციკლური და სტრუქტურული განზომილებების გამიჯვნა მნიშვნელოვანია სისტემური რისკების გამომწვევი ფაქტორებისა და შესაბამისი ინსტრუმენტების იდენტიფიცირებისთვის. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მათ შორის მჭიდრო კავშირის გამო, რთულია ამ ორი განზომილების ერთმანეთისგან ცალსახად გამიჯვნა.

სისტემური ფინანსური რისკები გარკვეული დოზით ფინანსური შუამავლობის ეფექტიანად ფუნქციონირების პირობებშიც შეიძლება არსებობდეს. თუმცა, სათანადო მაკროპრუდენციული ჩარევების გარეშე, საბაზრო ფრიქციებმა და საბაზრო ჩავარდნებმა შეიძლება მკვეთრად გაამძაფროს ეს რისკები. შესაბამისად, მაკროპრუდენციული პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ჭარბი სისტემური რისკების შემცირებას, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ფრიქციებისა და საბაზრო ჩავარდნების შედეგების კორექტირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკროპრუდენციულ პოლიტიკას არ ძალუძს ფინანსური სისტემური რისკების სრული აღმოფხვრა, არამედ მათი მხოლოდ მნიშვნელოვნად შერბილება.


იმისათვის, რომ მაკროპრუდენციული პოლიტიკა იყოს ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული, საჭიროა შუალედური მიზნების დასახვა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ESRB/2013/1-ის რეკომენდაციებისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით მაკროპრუდენციული პოლიტიკის ხუთი შუალედური მიზანი განსაზღვრა. ეს შუალედური მიზნები მოიცავს სისტემური რისკების როგორც ციკლურ, ასევე სტრუქტურულ განზომილებებს და მათი ჩამონათვალი ასეთია:

1. ჭარბი საკრედიტო ზრდისა და ლევერიჯის შემცირება და თავიდან აცილება;
2. ბაზრის არალიკვიდურობისა და ვადიანობის ჭარბი შეუსაბამობის შემცირება და თავიდან აცილება;
3. პირდაპირი და არაპირდაპირი პოზიციის კონცენტრაციის შეზღუდვა;
4. არასწორი სტიმულების (misaligned incentives) სისტემური ზემოქმედების შეზღუდვა მორალური რისკის (moral hazard) შემცირების მიზნით;
5. ფინანსური სისტემის დოლარიზაციის შემცირება.

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ჩარჩოს და შესაბამისად მისი შუალედური მიზნების შესაფერისობის განსაზღვრა და განახლება უნდა მოხდეს პერიოდულად ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოთ მათი სათანადო ეფექტიანობა მაკროპრუდენციული პოლიტიკის უმთავრესი მიზნის მისაღწევად. ცვლილებები საჭიროა ახალი გამოცდილების, ფინანსურ სისტემაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებებისა და ახალი ტიპის სისტემური რისკების გათვალისწინებით მოხდეს. შესაბამისად, ეროვნული ბანკი საჭიროების შემთხვევაში გადახედავს და შეიტანს ცვლილებებს მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგიაში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელება ხდება ოთხ ეტაპად. ამ ეტაპების ერთობლიობა ქმნის პოლიტიკის ციკლს და მოიცავს შემდეგს:

1. რისკების ანალიზის ეტაპი, როდესაც შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით ხდება მონაცვლადობის აღმოჩენა და შეფასება (შუალედურ მიზნებთან მიმართებით). ამ ეტაპზე შესაძლებელია გარკვეული ინდიკატორული ზღვრების გამოყენება პოლიტიკის უკეთ განსასაზღვრად;
2. ინსტრუმენტის შერჩევისა და კალიბრაციის ეტაპი;
3. პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღებისა და გატარების, როდესაც ხდება ინსტრუმენტების გააქტიურება;
4. შეფასების ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ინსტრუმენტების გავლენის შეფასება შესაძლო დაკორექტირების მიზნით. მაკროპრუდენციული პოლიტიკის მთლიან ციკლს თან სდევს მუდმივი კომუნიკაციის პროცესი.

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ციკლი ცხრ.1



მაკროპრუდენციული პოლიტიკის ციკლის პირველ ეტაპს არსებული და პოტენციური სისტემური რისკების ანალიზი წარმოადგენს. ეროვნული ბანკი რეგულარულად ახდენს რისკების შეფასებას სისტემური რისკების წყაროებისა და გადაცემის მექანიზმების დასადგენად. რისკის ამოცნობა და შეფასება ხდება ინფორმაციისა და ანალიტიკური მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით, როგორცაა მომავალზე ორიენტირებული და ადრეული გაფრთხილების ინდიკატორები, ბაზრის ანალიზი, დაკრედიტების კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია და ექსპერტული შეფასება. კერძოდ, თუმცა, ხანდახან ასეთმა ინდიკატორებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ამიტომ აუცილებელია ძირითადი ინდიკატორების ანალიზი შეივსოს ინფორ-

მაციის სხვა წყაროებით, როგორებიცაა უფრო ფართო ინდიკატორების ჯგუფი, ბაზრის მონაწილეებთან თანამშრომლობით მიღებული ინფორმაცია, მონეტარული და საზედამხედველო ინფორმაცია და ექსპერტული შეფასებები. რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინდიკატორების სრული ჩამონათვალია მოცემულია ცხრილის სახით (ცხ.2)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ანალიზის დროს შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დამატებითი ინდიკატორები და შესაბამისი ანალიტიკური ექსპერტიზა. სისტემური რისკების წყაროების ამოსაცნობად შემუშავებული ინდიკატორები საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ და შევაფასოთ სისტემური რისკების წყაროები.

ცხრილი 2. ინდიკატორების და შუალედური მიზნების აღწერა

შუალედური მიზნები	მთავარი ინდიკატორები
ჭარბი კრედიტის ზრდისა და ლევერიჯის შემცირება და თავიდან აცილება	
აგრეგირებული	- კრედიტის ზრდა; - კრედიტის მშპ-სთან ფარდობის გაპი; - კრედიტის მშპ-სთან ფარდობის ზრდა; - ლევერიჯის კოეფიციენტი.
შინამეურნეობები	- შინამეურნეობების კრედიტის ზრდა; - სესხის შემოსავალთან ფარდობა; - სესხის მომსახურების შემოსავალთან ფარდობა (ახალი სესხები); - სესხის გაცემის სტანდარტები.
არაფინანსური კორპორაციები	- კორპორატიული კრედიტის ზრდა (მთლიანი); - კორპორატიული კრედიტის ზრდა (სექტორი); - სესხის მომსახურების კოეფიციენტი; - სესხის გაცემის სტანდარტები.
ფინანსური სექტორი	- ბანკის კაპიტალის კოეფიციენტი; - ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი; - საკრედიტო და ბაზრის რისკის ინდიკატორები.

უძრავი ქონება	- უძრავი ქონების დაკრედიტების ზრდა; - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ზრდა; - საცხოვრებელი ფართის ფასის შემოსავალთან ფარდობა; - საცხოვრებელი ფართის ფასის იჯარასთან ფარდობა; - კომერციული ფართის ფასის ზრდა.
ბაზრის არალიკვიდურობისა და ვადიანობის ჭარბი შეუსაბამობის შემცირება და თავიდან აცილება	- ლიკვიდურობის ინდიკატორი (მაგ. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)); - დაფინანსების სტრუქტურა; - აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურა; - სესხების დეპოზიტებთან ფარდობა.
პირდაპირი და არაპირდაპირი პოზიციის კონცენტრაციის შეზღუდვა	- საკრედიტო პორტფელის განაწილება (სექტორის, რეგიონისა და ვალუტის მიხედვით); - კონკრეტული ფინანსური და ინდუსტრიული ჯგუფების დამოკიდებულების კონცენტრაცია (Exposure concentration); - ფინანსური სექტორის ურთიერთდამოკიდებულება.
არასწორი სტიმულების (misaligned incentives) სისტემური ზემოქმედების შეზღუდვა მორალური რისკის (moral hazard) შემცირების მიზნით	სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების ზომა, კომპლექსურობა, ჩანაცვლებადობა და ურთიერთკავშირი (მაგ. საბანკო აქტივების მშპ-სთან ფარდობა; სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების წილი; მომგებიანობა).
ფინანსური სისტემის დოლარიზაციის შემცირება	- სესხებისა და დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (მაგ. მსესხებლებისა და სესხების ტიპების მიხედვით); - უმოქმედო სესხების წილი უცხოურ ვალუტაში; - წმინდა ღია უცხოური სავალუტო პოზიციები.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაკროპრუდენციულ პოლიტიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების განვითარებაზე, რომელთა გამოყენება ინდიკატორების ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს. მაკროპრუდენციული პოლიტიკის **პირველი ეტაპის ამოცანა უნდა იყოს:** რისკების ანალიზი და შეფასება, რომლის დასრულების შემდეგ, ეროვნული ბანკი იდენტიფიცირებული რისკების შერბილებისა და აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებზე მიიღებს გადაწყვეტილებებს.

მეორე ეტაპის ამოცანა კი უნდა იყოს: კონკრეტული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტის შერჩევა და ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა:

1. რისკის მასშტაბურობა და წყარო, ინსტრუმენტის გავლენა და შესაძლო გვერდითი ეფექტები.
2. ინსტრუმენტების გამოყენება სხვა პოლიტიკებთან თანხვედრაში.
3. ინსტრუმენტების კალიბრაციის დროს რისკების მასშტაბურობა და შესაძლო გავრცელების არეალისა და ფინანსური სექტორის მდგომარეობისა და შესაბამისად მისი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინება.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №176/04, 2017 წლის 18 დეკემბერი, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი. <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/176.04.pdf>
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №281/04 2018 წლის 24 დეკემბერი, ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nonbanking/legal_acts/281.04.pdf
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №32/04 2014 წლის 27 მარტი, კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/grape_geo16_04_14.pdf

4.საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №201 2006 წლის 20 ივლისი, კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/brzaneba_201.pdf

5.საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №70/04 2017 წლის 15 მაისი, კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/likvidobis_gadafarva.pdf

6.საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 174/04 2017 წლის 18 დეკემბერი, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დანესების თაობაზე. <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/174.04.pdf>

7.საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №214/04 2018 წლის 26 სექტემბერი, კომერციული ბანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. <https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko/214.04.pdf>

8.Bank of Jamaica, “Bank of Jamaica Monetary Policy and Financial Stability Communication Strategy” (2020). http://www.boj.org.jm/uploads/news/boj_monetary_policy_and_financial_stability_communication_strategy.pdf

9.BIS Annual Economic Report 2020, “Moving forward with macroprudential frameworks.” Bank for International Settlements (2020). <https://www.bis.org/publ/arpdf/ar2018e4.htm>

10.Boar, Codruta, et al. “What are the effects of macroprudential policies on macroeconomic performance?.” BIS Quarterly Review September (2020). https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt1709g.pdf